

რედაქცია

მელიქონოვის ქუჩაზე, პრეტვი ჩაიგეშტოვის სხ-ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქონოვის სტამბაში. შალაქს ვარუე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисе. Въ редакцію газеты „Дროება“.

ვაჭაეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურან-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-შთაქრულით, ატირიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირბოგით, ოთხშაბათობოგით და პარასკეობოგით

საქართველო

ჩვენი სოფლის გზები

ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ახლანდელი შოთი-თფილისისა და მამაელი ბაქო-თფილისის რკინის გზა ჩვენს სოფლის ხალხს თითქმის არავითარს სარგებლობას არ მოუტანს, თუ ეს მთავარი გზები სოფლის გზებთან არ იქნა შეერთებული.

სუთი წელიწადი სრულდება, რაც შოთი-თფილისის გზა გაიმართა. მის დაეტყუა ეს? მისთვის შეიქნა სასარგებლო ამ გზის გაყვანა? თერთონ შოთისთვის, თფილისისთვის და ორსამ იმ ქალაქისთვის, რომელნიც ამ გზაზე იყვნენ გაშენებულნი. თითქმის ძალად გაჩნდა პატარა ქალაქი — ახალ-სენაკი და ცოტადანად გაცხოველდა ეჭრობა და სიცოცხლე შვირილაში, ხაშურში და ზორს.

დაწარჩენ სოფლებსა და ქალაქებს, რომელნიც გზაზე მოშორებულნი დარჩნენ, თითქმის სრულიად არაფერი შემატებიათ. (მეთაისი ხო კიდევ დაეცა).

და არაფერი შემატებიათ მხოლოდ იმის გამო, რომ სოფლის გზები არ არის ჩვენში, არ არის გზები შემაერთებელი სოფლებისა შოთი-თფილისის რკინის გზასთან.

მოგვხსენებათ, ყოველ გზას ის

მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის და სოფლისთვის, რომ ამ-საშუალოდით ადვილად წაიღოს ხალხმა თავის ნაწარმოები იქ, სადაც გასდებია შეუძლია და მეორეს მხრით მოიტანოს ის, რაშია ცთვიტონ ჰსაჭიროებს; ერთი იტყვიეთ, ერთმანეთზე დაშორებულ ქვეყნებსა და ქალაქ-სოფლებსა ადებმიცქიმა და მისელა-მოსელა გაადვილოს.

ჩვენი რკინის გზა ჯერ ჯერობით ამ პირობას ვერ ასრულებს; და ვერც შეასრულებს, ვერ დაეტყობა ჩვენს ქვეყანას იმის სარგებლობა, სანამ, ვიმეორებთ, ჩვენში სოფლის გზები არ იქნება გაყვანილი.

მისაც დ უელია ძართლი, იმერეთი და სამეგრელო, ვინც იცის — როგორი გზებია ამ მხარეებში და როგორ ურემებსა და საზოგადოთ გადასატან - გადმოატან საშუალებას ხმარობს ხალხი, ის დაგვეთანხმება, რომ ხშირად რომელიმე გასასყიდი საქონლის მოტანა ათს ვერსზე მოშორებული სოფლიდან რკინის გზის სტანციაში უფრო ძვირად ჯდება, უფრო გასაჭირია, ვიდრემ თერთონ რკინის გზით 100-200 ვერსზე გადატანა.

ამიტომაც არის, რომ სოფლის გლენს და თავად-ზნაურს ხშირად შინ უფუჭდება პური, ღვინო, ხილი და სხვა სოფლური წარმოება და კი-

დეე უფრო ხშირად მანეთის საღირალს ორ-სამ შაურად აძლევს სოფელში მაწანწალა ჩარჩებსა. ამიტომაც არის, რომ სოფლის მეღუქნეთან ხალხი ერთი-ორად ჰყიდულობს მას, რაც თერთონ ვერ მოუყვანია და რაც ოჯახში აუცილებელად ეჭირება.

ხალხს კარგათ ესმის სოფლის გზების მნიშვნელობა; სურვილიცა აქვს გააკეთოს.

მაგრამ...

1) ისეთს დროს გამოჰყავთ ხოლომე ხალხი სამუშაოთ, როდესაც შინ ყოფნა, თავის ვენ-ხებში და ყანებში მუშაობა საჭიროა. რა ვუღიით უნდა იმუშაოს გზაზე გლენსა, როცა ამ დროს იმას დაწიფებული ყანები ან ვენახები უფუჭდება?

2) ისეთს ალაგებზე აკეთებინებენ გზებს, სადაც იმათ სარგებლობა ძალიან იშვიათად შეუძლიანთ. ამ შემთხვევაში, როგორც არა ერთხელ ყოფილა ჩვენს ვაზეთში გამოცხადებული, უფრო ხშირად შეძლებული კერძო პირების სარგებლობა აქვთ მხედველობაში, ვიდრემ მთელის სოფლისა.

3) თავად-ზნაურობა არასოდეს არ ეხმარება სოფლის ხალხს, გზების გაკეთების დროს, თითქო ეს გზები იმათთვის საჭირო არ იყოს.

ამას გარდა ბევრი ისეთი გარემო-

ებაა, რომელსაც ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით და რომელიც ხალხს უშლის სასოფლო გზების გაკეთებას. ამ ნაირიდ, ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხის წარმოებას არავითარი წარმატება არ მიეცა რკინის გზის გაყვანისაგან და არც მიეცემა, სანამ სოფლის გზები, ხიდები და ბოგირები არ გაკეთდება. მხედავთ, რომ ამ საქმის მოთავსება ჩვენში ძალიან ადვილად შეიძლება, რადგან ხალხს ესმის გზების მნიშვნელობა.

მაშასადამე საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ვიხედაც ეს დამოკიდებულია, მართლა მოინდომოს სასოფლო, და არა საბატონო, გზების გაკეთება და მოსპოს ის წერიმალი, დამბრკოლებელი, მიხეზები, რომელიც გლენებისაგან კი არ ჰქონდა და არა აქვს ამ საქმეს.

ს. მესხი

დღიური

შალაქში გაეარდა ამას წინათ ხმა, ვითომც ბაქო-თფილისის რკინის გზის მიმართულება იცვლება შალაქის წრეში, ვითომც თფილისის სტანცია ახლანდელი ალაგადამ სხვაგან, უფრო შორს უნდა გადითანონო და სხვ. ამის თაობაზე, როგორც ზოგიერთ აქაურ გზათებშიც იყო გამოცხადებული, შალაქის გამგეობამ უფ. თფილისის ლუბერატორს ჰკითხა.

ფულბონი

იხარლავი

რომანი თანამედროე ცხოვრებიდამ

თავი მე-იამე

VIII


არაფერა ადგა. მივიდა კამოდთან, ამოიღო იქედ მ რალაც ქალღი და მისცა ქალს წასაკითხავათ. შალამ დაიწყო კითხვა; კითხვის დროს თანდათან ფერი ეცვლებოდა და დე-ლაამდა; ბოლოს ვეღარ დაათვა. გაუფარდა ხელიდამ ქალღი, რომელიც არაფერამ ისევ აიღო და ჰკითხა ქალს: — ხომ მიხვდით რა არის ეს?

- აქტი.
— მაზედ?
— იმაზედ.
— მაშ იცოდე, თუ დღეს ის ამ ქვეყანაშია, კიდევ ჩეაი ბრალია; ამ დაზოგვას ვრაცხ მე დიდ დანაშაულებად, მაგრამ რა მექნა, რომ იმასთან სხვც ვინმე უნდა გამეწირა.
— მან მოგცა შენ ე?

- ჩემმა მეგობარმა გუშაგმა.
— ეს კოლის წამება არის.
— მის ხელს იცნობთ?
— ვიცნობ.
— მაშ მოწერილს დხედეთ და ისე ჰსატყიეთ.
— და იმან იცის, რომ თქვენ ხელშიდა გაქვსთ ის საბუთი?
— აი ეს ამტკიცებ! დ უღვა ხელი რეველვერზე. ამ სიტყვების შემდეგ ქალმა ჩაკიდა თავი, დიდხანს, დიდხანს ხმა ამოუღებლად რალცას ჰფეჭრობდა; ბოლოს უცრად წმოვარდა ზ ზედ, სტაცა ხელზე ჩელი არაფერს და უთხრა: ჩვენში დარჩეს ეს საიდუმლო!
— თუ თქვენ არ შემცოდებოდით, დღესაც საიდუმლო იქნებოდა ეს საში წლის ამბავი.
— ე, რეველვერი მე მაჩუქეთ.
— ბოროტდ რომ მოიხმაროთ?
— სიტყვას გაძლევ, ჩემ საიკედლილოთ რეველვერი საჭირო აღარ არის.
— არც იმას მოჰკლავთ? ჰკითხა დაცინებით არაფერამ.
— არა.

— მაშ წაიღეთ, შემომიწირავს ვე თქვენთვის, ჯერ სროლაში გაწრთენით და მერე ინადირეთ, მაგრამ ამასაც გეტყვი, ცუდი იარაღი კი არის ეგ პრინციპებისთვის. თუ კარგი პატრიოტი ხართ, იარაღათ ხანჯალი უნდა იხმაროთ, იმან მტყუნება არ იცის.
— ძმარა, ხანჯალზე უარესად ეგ ენა მიბასრავს გულს, მაგრამ მემართლები, დროსი ვარ, მშვიდობით... მაგრამ იცოდე, რ მდენიც აქ შამოვიტავე შენი სიძულითი, ორი იმდენი ახლა გაძაქეს. შინ გამომიყვანე ტკბილი მოხიბლულობისაგან, თავი მადლობას გიუბნება და გული კი შეჩვენებს, მშვიდობით, მშვიდობით! ამ სიტყვების შემდეგ ისარივით გაეარდა ახალგაზდა ქალი გარეთ.
სოტა ხნის შემდეგ არაფერამ ჩაღვა კამოდში ისევ ის ქალღები. მიუჯდა სტოლს და დაიწყო წერა ბართისა ერთ მეგობართან და იმ ბართის შინაარსი იყო შემდეგ:
„პასუხე, პასუხი, უაითუოდ პასუხიო, მწერ ჩემო მეგობარო? ძეთილი და პატროსანი: შენი მეგობრული

ჩრქვა და დარიგება შევაწონე ჩემს ჰზრებში; მაგრამ ვერ მიუღდენ ერთმანეთს და კერპობათ არ ჩამითვალა: ეს მისი ბრალია, რომ მე საზოგადოდ უარს ვყავ ზნეობით მონებას; თავი მართალი მეგონია და თუ შემცდარი ვარ, ამა აღსარება და თვით გასაჯე.
„დღეს სწორეთ თხუთხმეტი წელიწადია, რაც მე გამოვესულვარ სამუშაოთ ცხოვრების ასპარეზზედ. იმ თვითვე გადასწყვიტა ჩემმა გულმა პირადობის უარყოფით საზოგადო საქმისთვის თავის მხევრპლობა; მაშინ მე არ ვიცოდი, თუ რამდენათ ნაყოფიერი იქნებოდა ჩემი შრომა, და პირადათ მე რაც მელოდა, იმას კი ვგრძნობდი, მაგრამ ჩემს გულში შიში არ შესულა. შიე ბედისაგან მონძღვენი ჩვენის ხალხისათვის ანდაზები: „ამყოლს აჰყევი, ჩაჰყოლს ჩჰყევი.“ „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც უღარაჰყოფილა.“ „მკებნარს უკანიდამ მოექეცი, მწიხლარს წინადამ.“ „რა ქვეყანაშიდაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი და ხურეო“ და სხ. და სხ. მეც ვაგებული მქონდა. და თუ ის გზა ამყოჩია, რომელსედაც სხვე-



ჩვენ შევიტყუეთ ახლა ამის შესახებ ნამდვილი ამბავი, რომ ეს გზა სრულდება მძიმარულად არ შეიცვლის და დამტკიცებულის პროექტით გაკეთდება. სომხის სასაფლაოს ქვეშ ტრანელი უნდა გაიყვანონ.

მაშასადამე ქალაქელებს ნუ ეშინიანთ: იმათ მუთაისის ბედი არ მოვლეს.

* * *

პირთი თავის შენიშვნა—ქალაქის ცენტრის კამანდის ერთი პოვოზისა და ცხენის დარჩობაზე—„მევილისის მოამბემ“ ამას წინათ შემდგის ტრალიკულის ლექსით დაიწყო: „მანგებამ ინება შემცირება უიმისოთაც მცირე ჩვენი ცენტრის კამანდის საშუალებისა... ბუშინ შუაღღებე მტკვარში დაიღუპა და სხე.“

ჩვენც ასე შეგვეძლო დაწყება ჩვენის შენიშვნისა იმ ამბის თაობაზე, რომ ჩვენს აკკლიმატიზაციის ბაღში საქონელს აეთამყოფობა გასჩინია, და „მანგებამ“ უნებებია შემცირება უიმისოთაც მცირე რიცხვი პირუტყვისა: შეუბრალოებელ ცივას მოუკლავს ერთი ჯიხვი და „მშვენიერი, ძვირფასი ეგზემპლარი ზუზრისა!...“

* * *

ღიღს მათად ძვეკასიის ნამესტნიკს დაუმტკიცებია ახალციხის ძველ-მომქმედი საზოგადოება, რომლის წესდება „ძვეკასის“ უკანასკნელს ნომერშია დაბეჭდილი. საზოგადოებამ თავის მზრუნველობაში მიიღო ახალციხის უფასო საქალბო უკოლა ა. ბ. მუსხელიანისაგან გახსნილი. პირთ შემდეგ ნომერთაგანში გაეცნობთ ჩვენს მკითხველებს ამ საზოგადოების წესდებასა და ახლა კი მხოლოდ ეინატრით, რომ ის სხვა ამგვარ საზოგადოებათა კვალზე არ წასულიყოს და მართლა ნამდვილი სარგებ

ბლობა მოეტანოს იმ საქმისთვის, რომლისთვისაც დაარსებულია.

* * *

„ძვეკასის“ კორრესპონდენტი იწერება მუთაისილამ, რომ ამ 4 ნომერს აქ საიდგანლაც გადმოაფრინელ ფრანცუზებისა და ნემცების ტრუპამ კონცერტი გამართა; მაგრამ ქალებს ისეთი დეკოლტეები ჰქონდათ და ისეთს უნამუსო ლექსებს მღერდნენო, რომ მთელი მაყურებელი საზოგადოება შეძრწუნდაო. ბოლოს კანკანიც კი ითამაშესო...
დეკოლტესი რა მოგახსენოთ, და ეს კი კარგათ ვიცო, რომ ლექსების მღერა მუთაისში ბევრს ვერ შეადრწუნებდა, — რადგან ფრანცუზულის მკოდნე ხალხი იქ ისე იშვიათად მოიპოვება, როგორც... რა ესთქეათ? როგორც „ძვეკაში“ ჰაზრიანი სტატიები!...

* * *

ძვეკასიის მხატვართ საზოგადოებაში ამჟამად გამოფენა, სხვა და სხვა მხატვრობისა. ამბობენ (ჩვენ კი, საუბედუროთ, არ გინახავს ჯერ), რომ ამ მხატვრობაში ყველაზე მომეტებულ ყურადღებას პროფესორის პრემაციის სურათები მიაქცევენო. მკითხველმა იცის, რომ ეს მხატვარი ამ უკანასკნელ დროს მოგზაურობდა ჩვენში ძვეკასიის სახეების გადასახატად და ეს სახეები ახლა აქ გამოაფენია.

* * *

მუთაისილამ გეატყობინებენ, რომ იქატურს წრეს ღვინობისთვის 19-ს ორი ვოდვეილი წარმოადგენია: „მდგმური ტრომბონით“ და „ცელქები.“ პირველი ვოდვეილი, როგორც გეწერენ, სუსტად წარმოადგენიათ, მაგრამ მეორეს თამაშობაში კი აღ. მრველოვისას, მ. ლეჟაფას დ მ. აბაშიძეს თავის არტი-

სტულის თამაშით საზოგადოება ალტაციებაში მოუყვანიათ.

წასულ კვირას, ნოემბრის 9-სამავე წრის თაოსნობით კიდევ უნდა ყოფილიყო მუთაისში ერთი წარმოდგენა ბერცოგოვინელებისა და ბონიელიების სასარგებლოთ.

„დროებითი“ კორრესპონდენცია

ზორი, ნ. გიორგიძისთვის

მს ზოგიერთები, ღმერთმანი, რა ნაირები არიან,—ვერ წარმომიდგენია! სულ ის უნდათ, რომ სხვა გაჭყიხონ, დასცინონ და სხ. და სხ. აი მაგ. წრევანდელი წელიწადი ააგეს „დროება“ ჩივილით, გაკიცხვით, დაცინვით ზორზედ და გორელებზედ; ეს ასეო, ეს ასეო, ერთმანეთის სიმტრეში, სიშურეში, კილეაში და სხ. ამოზნდითო სულიო. ახლა რა ექნათ, ყველა ხომ უცებ არ გასწორდება?

ასე მოუთმენელად. სასტიკად გაკიცხვა ხანდახან შეახტუნებს ხოლმე; მაგრამ მერმე გულს დაუხმობენ, ჩაუფიქრებინან და იტყვიან, როცა ტახტზედ, შინ, არიან გადაბღღარძელები: „ჰო და ერთით მართალს სწერავენ; რა სიმტრე უდევთ გულში ჩვენზედ, რომ სწერავენ, ალბათ ვარ იმისთანა. უნდა, უნდა ღმერთმანი, თავს მოუაროთ, გავსწორდეთ! რა არის, ღმერთმანი, კმარა ამდენი ჩვენსი ეს... ნამუსიც კი საქონელია!“

მაგრამ ხალხთან ესტიბარს არ იტყვენ და წინააღმდეგ ამ თავის შინაფიქრებისა ლაპარაკობენ და ჰკიცხავენ მხურვალედ დამწერს.

„მისაც არა მგონია, აულია კალამი და ბლაჯინის,—ამას ხშირად გაიგონებთ,—რა გამოდის ამ ბლაჯინთა, რასაც არ ახდენენ!“

როგორ თუ რა გამოდის? მწერის ბოდნენ ათას რაფტებს: ბორჩხედ და აბა, ეხლა ნახეთ: ქუჩებს მალ-მალ გვიან, აღარც ძაღლები იკბინებიან ისე მწარედ, აღარც დუფლის ხმა ისმის საღმე; აგრე როგათ აღარც წყალს ასხმენ ბალკონებიდგან; ბოგირიც გაუმართავთ ბალთან რუხედ; მხოლოდ თევზების საქერი გუბებები კი ერთი-ორგან ენახე.

პირთის სიტყვით, ვერ ვიცან ზორი, ისრე გამოცვლილა, წაუღამს ნაბიჯი წინ, ნაბიჯი გარეგანი ქალაქის სისუფთავის შესახებ. მსეც კარგია. ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა, რომ დღეის უკან ვეღარა დასწერონ რა იმ ვილაციებმა.

მს კიდევ არაფერი. შესანიშნავი ცელილება, შესანიშნავი საქმე მოხდა ჩვენ ზორში, მით უფრო შესანიშნავი, რომ ქართველები ერთობ მიძინე ვართ, საუბედუროთ გამოიდეს თავს, იკისრეს ჩვენი ქალებისთვის უკოლის გახსნა.

მაგრამ ამ საქმეს კაცები ვერ მოუღებდნენ ბოლოს, რადგან ამისთვის როგორ მოიცლიან, რომ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა არ მიელოქალს. ძალი ამისთანა შემთხვევებში დიდ-სულღონებობას იჩენს. მკალი არის ქერიგთ. მლახბარ მრასთვისა. მს არის მზრუნველად ამ უკოლისა.

ამ ზაფხულის სოფლათ მოგვივიდა მაზრის უფროსისაგან უწყება, რომ, ვისაც აწნაურებს, მღვდლებს, ან ვისმეს სხვებს ქართველებს პატარა ქალები გყავთ, შემოადგომაზედ, როცა დაგენიშნებათ დრო, წარმოადგინეთ ქალაქ ზორშიო. ღიდათ ვისამოვენთ და გავიხარეთ. ლოცვა და ვედრება ღვთისადმი ბევრი იყო ამ საქმის დამწყობელისადმი; ყველამ სიხარულით მიიღეს, სურვილი განაცხადეს და მოჰყავთ პაწაწა ქალები ზორში.

ბი მიდიოდნენ, ჩემს ცხოვრებაში ვარდს მოგვრეფდი და ბუღბულს ევგალობებდი; ყოლიფერი მიქადადა ამ მოახიბლავ გზაზე წარმატებას, მაგრამ კირისუფალს ღვინის დრო აქვს? და როდესაც ჩვენს სატრფოს აქ რყვინან, მაშინ ნამდვილი არ შეიყოს გული თავის თავზე იფიქრებს? სხვებ შევხედე მაშინ ჩვენ საზოგადოებას. ის მგეულებოდა სწეულად და თუმცა მკურნალად ვერა ვგრძნობდი თავს, მაგრამ რამდენსაც შევიძლებდი, მოვლას კი ვერ დავამაღდი. ღიახ, მე მინდოდა, რომ ემსახურებოდი... მსახურებოდი არა ჩემ თავს გამოსაჩინად, არა, საკუთრად მისთვის. სამსახური შეიძლებოდა ორგვარი: პირველი, რომ მე მესირინოხებოდა მის აწმყოზედ, მეტიკტიკა მის წასულ ბედნიერებაზედ და ოცნებით გამოამეხატა მისი მომავალი ბედნიერება, მაგრამ ეს იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის ისეთი სამკურნალო, როგორც ჩონგური და დაირა ყვაველით ავათმყოფისათვის. პირადათ მე მოგებაში ვიქნებოდი ამ თაღლითობით, მაგრამ საზოგადოებას რა

შევიძნებოდა!... მეორე—უნდა მეფაქრა მის აწმყოზე და ჩემ ცრემლშივე გაღვსილი ჩემი ნალველი წამლათ მესმია; სწეულს წამალისძულს, მისი სიმწარე აბრაზებს და აძულებს იმას, ვინც იმ წამალს აძლევს. მიმეორებ, რომ ესეები ყველა კარგათ ვიცოდი, მაგრამ თავის დაზოგვა განალა შეიძლებოდა. უარეყავ წასული ნანინები, მომავალს მივანდევი მომავალი ოცნებები და მე აწმყოვირგე. ჩემი იარაღი იყო კალამი და სიტყვა; არცერთისთვის არ მილაღებოდა და არც ერთი არ შემძულეობია, თუმცა პირადად კარგათ კი ვერა მრჩებოდენ. არც ერთი არ დამინახავს შემცდარად და ესწუხვარ მხოლოდდღეს იმას, რომ რაცა ესთქეი, ათას ჯერ მეტიც ვერა ესთქეი. მინც რა უნდა სთქვას, მისი ნებაა, პასუხს არ ევაგებ; მაგრამ შენისთანა კაცებს კი ვერ დავაგდებ უპასუხოდ. როგორ, შენ სიტყვა განა საქმე არა გგონია? სცდები, ჩემო მეგობარო, სიტყვა არის თესლი და ნამყოფი კი საქმე. ჯერ უნდა ჩავარდეს თესლი მიწაში, შეიწოვოს იქ საზრდო, გაიფუნჩოს, გაი-

დგას ფესვი დაფარულად და მერე სათვალ-და-თვალად ამოცენდეს და დაწიფდეს. მსგავსად ამისა სიტყვა არის თესლი, ხალხი—მისი ნიდაგი. ქეთილად და დროზედ ხალხში ჩანატყორცნი სიტყვა ფესეს იღვამს, იზრდება და იქცევა მცხად საქმეთ, რომელიც ძალა-უნებურად ყველას თავს ანახვებს. მაშ, ვინც მე იმას მეტყვის: სიტყვა არ არის საქმესათვის საჭიროვო, მე მას ვუპასუხებ, რომ ნამყოფისათვის მაშ თესლიც არ ყოფილა საჭირო-თქო.—ახლა ვადავიდენ წერილმანსა და სხვილმან საქმეებზე: თესლი რომ პატარაა, სიადუმლოთ მიწაში იფარება და ნამყოფი კი დიდი და გამოცხადებულობია, ნუ თუ მითი გგონია, რომ ერთმანერთზე ნაკლები იყვენ? მანა მთესეელი მომკელზედ უფრო წერილმანი მუშაა? მუშის მხრით მიწის მარგვლა, დათესვა უფრო მსხვერპლია ვიდრე ნამგლის ტრიალი. მკა სასიხარულიო და საქეფო იერიშია, დამწიფებული ნამყოფი ყველას ძალათი მოაკრეფებებს თავს, ხშირად პატარა ქაზრაკი იმაგრებს მთელს მანქანას და

ნუ თუ მისთვის, რომ ქაზრაკი პატარაა, ქაზრაკის მუშას წერილმანი მუშა დაერქვას? არა, ჩემო მეგობარო, ვერ გეთანხმები და ვერა; მე მინდა ვიყო დღიური მუშა და რასაც დღევანდელი დღე მომთხოვს სამუშავოთ, გინდ წერილი იყოს გინდ სხვილი, შეძლებისა და გვარად დაუზოგველად ხელსა ეკიდებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქნებოდი პირადობის მიმყოფი და თავმოყვარე. აი აზრი რომლისათვისაც არ მილალატებია ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში...
„ღღეს კი შევასვენებ როგორც კალამს აგრეთვესხვადღემდი ხმარებულის, იარაღსაც; მაგრამ არ იფიქრო, რომ ამას ჰაზრის გამოცვლით ან მიშით, ან სხვა გვარ რამ მოირიღებოთ ეშვებოდღე. სრულიადაც არა, აწ დრო არის ავირჩიო სხვა გზა, გამოვეცვალო სამუშაო იარაღი და შევეუდგე იმ გზას, რომელიც მართო ცრემლებების და ოფლის ღვრას არ მოითხოვს. აწ კი მშვილდობით, ჩემო მეგობარო, უკანასკნელად გილოცავ იმ შრომას, რომელშიაც შენი პირადობა არ გამოიკათებას. მარად შენი ქეთილის მსურველი არაფერია.“
აკაკი

